№ 204 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი

წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. ხუთშაბათი, სექტემბრის 9 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

კანტორისაგან.

ბელფასისა და ქაღალდის საგრძნობად გაძვირების გამო 1 სექტემბრიდან გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

ეღირება თვეში 200 მ. ცალკე ნომერი უველგან 10 მ.

გაზეთი 1 სექტემბრიდან წლის ბოლომდე ღირს **800 მ.** ვისაც გაზეთი გამოწერილი აქვს ძველ ფასებში მან უნდა გამოგზავნოს დამატებითი ფასი თვეში 130 მანეთი, წლის ბოლომდე დასამატებელი 520 მანეთი.

საერთო განცხადების ფასი 1 გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მან., 4 გვერდზე 10 მან., ხოლო საბუთების დაკარგვის შესახებ განცხადებანი 160 მანეთი, სამოსამართლო უწყების სავალდებულო განცხადებანი 100 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომა (15×2) 300 მანეთი. ნისია განცხადების დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 პროც. კერძო პირების განცხადებანი **ნისიად არ დაიბეჭდება.**

უფასოდ განცხადებანი არ დაიბეჭდება

და მათ შესახებ კანტორა არავითარ მიწერ-მოწერას არ მართავს.

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ სენაკის მაზრის კიწია-სალხინოს სამომრიგებლო უბნისათვის საჭიროა

მოამრიგებელი მოსამართლე

რომლის არჩევა მოხდება სენაკის სამაზრო საერობო ხმოსანთა ყრილობის მიერ მეოთხე მორიგ ყრილობაზე, ოქტომბრის პირველ რიცხვებში. სავალდებულოა სახელმწიფო ენის ცოდნა. ვისაც სურს კენჭი იყაროს აღნიშნულ თანამდებობაზე, შეუძლია თავიანთი განცხადება, curriculem vitae-ს წარმოდგენით, გამოაგზავნონ შემ-
2618 დეგის მისამართით: ქ. სენაკი, სამაზრო ერობის გამგეობას., 2—2

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამა წლის 1 სექტემბრიდან ქ. სენაკში

ხსნის ოთხკლასიან უფასო სრულუფლებიან სახელოსნო სასწავლებელს ორი განყოფილებით

1) საზეინკლო და სამექანიკო,
2) სადურგლო და სახარატო.

თხოვნები მიიღება 1—20 სექტემბრამდე უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლის სწავლა დამთავრებულთაგან სამაზრო ერობის გამგეობის კანცელარიაში.

საუკეთესო მოწაფეებს (რიცხვით 20-ს) დაენიშნებათ სტიპენდია თვეში ექვსასი მანეთი.

მიმდინარე სამოსწავლო წელს გაიხსნება სახელოსნო სასწავლებლის მხოლოდ პირველი კლასი. 2620 3—2

ჩაქვის სახელმწიფო მამულის სამმართველო ამით აცხადებს,

რომ მას აქვს გამოსატანი საკუთარი ტყიდან 500 კუბ. საჟ. გამხმარი შარშანდელი მოჭრილი შეშა. რის შესახებ ამა წლის 12 სექტემბერს დღის 12 საათზე დანიშნულია ხელ-მეორედ სად. ჩაქვში სამმართველოს ბინაზე

საჯარო შეჯიბრება

ცნობების მიღება შეიძლება ტფილისში მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში. დილის 9—1 საათამდე. და სად. ჩაქვში მამულის
1—3 სამმართველოს კანცელარიაში ყოველ დღე. 2577

გორის ვაჟთა გიმნაზია

მასწავლებელთა და მოწაფეთა საყურადღებოთ ამით აცხადებს, რომ გიმნაზიაში განმეორებითი გამოცდები და სწავლა დაიწყება

პირველ ოქტომბრიდან.

2629 3—2 **დირექტორი ამბროსი მებურიშვილი.**

კბილის საექიმო და ტექნიკური ლაბორატორია

ა. ჰ. ქალანდაძისა.

ადგმა ყოველგვარ ხელოვნურ კბილებისა, ოქრის ფესვები, პლასტინკით და უპლასტინკოთ, გასწორება ბრუდე კბილებისა და ყოველ ნაირი აბტურატორები. ვაკეთებ „პლომბებსაც“. მისამართი: ბროსეს ქუჩა, № 4, ეზოში.

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

31 ივლისი, 1920 წ., № 166.

დანიშნულ იქმნას: ბათუმის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებობაზედ ივანე იესეს ძე ჩახვაძე ამა წლის ივლისის 17-დან.

№ 167.

დანიშნულ იქმნას: ბათომის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებობაზედ მიხეილ დიმიტრის ძე მუტაბიძე ამა წლის ივლისის 17-დან.

№ 168.

დანიშნულ იქმნას: ბათუმის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებობაზედ იოსებ ესრომას ძე კულუა ამა წლის ივლისის 17-დან.

№ 169.

დანიშნულ იქმნას: ბათუმის ხაზინაში ნაფიც დამთვლელის თანამდებობაზედ ანდრო გოგინავა ამა წლის ივლისის 18-დან.

№ 170.

დანიშნულ: ბათუმის ხაზინაში მოანგარიშე მოხელეს თანამდებობაზედ ალექსანდრე გიორგის ძე დეისაძე ამა წლის აგვისტოს 1-დან.

№ 171.

დანიშნულ იქმნას: ბათომის ხაზინაში მე-2-რე ხარისხის ბუხჰალტრის თანამდებობაზედ ონისიმე პეტრეს ძე სულავა ამა წლის ივლისის 12-დან.

№ 172.

დანიშნულ იქმნას: ბათუმის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებობაზედ კლავდია კონსტანტინეს ასული კვაშალია ამა წლის ივლისის 12-დან.

№ 173.

დანიშნულ იქმნას: ბათომის ხაზინაში პირველ ხარისხის მოლარეთ მიხეილ გიორგის ძე ავბენაშვილი ამა წლის ივლისის 8-დან

№ 174.

დანიშნულ იქმნას: ბათომის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებობაზედ ტერეზია ერმალოს ასული ფიცხელაურისა ამა წლის ივლისის 25-დან.

№ 175.

დანიშნულ იქმნას: ჭიათურის ხაზინის უფროსი ბუხჰალტერი გიორგი ლუკას ძე გაბუნია ბათუმის ხაზინაში იმავე თანამდებობაზედ ამა წლის აგვისტოს 1-დან.

3 აგვისტო, 1920 წ., № 176.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა, შულავრის ხაზინის რეგისტრატორი ვაგანა ალექსის ძე არუთინოვი ამა წლის აგვისტოს 1-დან.

№ 177.

დანიშნულ იქმნას: სილნაღის ხაზინაში ნაფიც დამთვლელის თანამდებობაზედ ისაკ გიორგის ძე მოსაშვილი ამა წლის აგვისტოს 1-დან.

№ 178.

დანიშნულ იქმნეს: ჭიათურის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებობაზედ დავით ასლანის ძე კაპანაძე ამა წლის აგვისტოს 1-დან.

№ 179.

დანიშნულ იქმნეს: ტფილისის ხაზინაში მოანგარიშე მოხელეს თანამდებობაზედ იმავე ხაზინის რეგისტრატორი სოფიო ტერ-მატეოზოვი ამა წლის აგვისტოს 1-დან.

№ 180.

დათხოვნილ იქმნეს: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან ჭიათურის ხაზინის ნაფიცი დამთვლელი სპირიდონ გრიგოლაშვილი ამა წლის აგვისტოს 10-დან.

№ 181.

თავისუფლება მიეცეს: ერთი თვის ვადით, ჯამაგირის შენახვით, საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის რეგისტრატორს ელენე კონსტანტინეს ასულს ვაჩნაძე-ყიფიანს ამა წლის აგვისტოს 9-დან.

№ 182.

მიეცეს თავისუფლება: ერთი თვის ვადით ჯამაგირის შენახვით ოზურგეთის ხაზინის რეგისტრატორს ანნა გიორგის ასულს ბერიძეს ამა წლის აგვისტოს 5-დან.

№ 183.

დანიშნულ იქმნას: გორის ხაზინის რეგისტრატორი ლევან ნიკოლოზის ძე შარაშენიძე ქუთაისის ხაზინაში ამავე თანამდებობაზედ ამა წლის აგვისტოს 1-დან.

№ 184.

მიეცეს თავისუფლება: ერთი თვის ვადით, ჯამაგირის შენახვით დუშეთის ხაზინის უფროსს ბუხჰალტერს ლუკა ნიკოლოზის ძე ოსიტაშვილს ამა წლის აგვისტოს 23-დან.

5 აგვისტო, 1920 წ. № 185.

მიეცეს თავისუფლება: სამი კვირის ვადით, ჯამაგირის შენახვით, საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის ბუხჰალტერს მიხეილ ესტატეს ძე მორჩილაძეს ამა წლის აგვისტოს 5-დან.

№ 186.

მიეცეს თავისუფლება: სამი კვირის ვადით, ჯამაგირის შენახვით, საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის რეგისტრატორს ქეთევან არტემის ასულ ჩხაიძისას, ამა წლის აგვისტოს 5-დან.

№ 187.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, ქუთაისის ხაზინის რეგისტრატორი ალექსანდრე პავლეს ძე გვანცელაძე თანახმად თავისი თხოვნისა ამა წლის ივლისის 29-დან.

188.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, ტფილისის ხაზინის რეგისტრატორი ზაქარია დიმიტრის ძე ნინუა ამა წლის აგვისტოს 1-დან.

№ 189.

გადაყვანილ იქმნას: ზესტაფონის ხაზინის ნაფიცი დამთვლელი რაჟდენ კახელი ბათომის ხაზინაში იმავე თანამდებობაზედ ამა წლის აგვისტოს 10-დან.

№ 190.

დანიშნულ იქმნას: ფოთის ხაზინის მოანგარიშე მოხელე გრიგოლ ნიკოლოზის ძე ჟანდიევი იმავე ხაზინაში მეორე ხარისხის ბუხჰალტერის თანამდებობაზედ ამა წლის აგვისტოს 1-დან.

№ 191.

დანიშნულ იქმნეს: ფოთის ხაზინის რეგისტრატორი ლავრენტი ბათუს ძე ნიკურაძე იმავე ხაზინაში მოანგარიშე მოხელეს თანამდებობაზედ ამა წლის აგვისტოს 1-დან.

№ 192.

დანიშნულ იქმნას: სოხუმის ხაზინის რეგისტრატორი რომან ლოგვინის ძე სვეჩინსკი დროებით აღმასრულებლად იმავე ხაზინაში მეორე ხარისხის ბუხჰალტერის თანამდებობაზედ ამა წლის აგვისტოს 1-დან.

№ 193.

გადაყვანილ იქმნას: ზესტაფონის ხაზინის რეგისტრატორი ივანე ეგნატეს ძე ჯავახაძე ქუთაისის ხაზინაში იმავე თანამდებობაზედ ამა წლის აგვისტოს 1-დან.

6 აგვისტო 1920 წ., № 194.

დანიშნულ იქმნას: გორის ხაზინაში დრ. აღმასრ. რეგისტრატორის თანამდებობაზედ ბარბარე პორფირეს ასული სტრელეცკისა, ამა წლის აგვისტოს 5-დან.

№ 195.

დანიშნულ იქმნას: ახალციხის ხაზინის რეგისტრატორი მირიანი ნიკოშვილი ამავე ხაზინაში მე-2-რე ხარისხის ბუხჰალტრად ამა წლის აგვისტოს 1-დან.

№ 196.

ბიეცეს თავისუფლება: სამი კვირის ვადით, ჯამაგირის შენახვით, საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის მოანგარიშე მოხელეს თამარა ვასილის ასულს აბულაძეს ამა წლის აგვისტოს 9-დან.

ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის უფროსი: ა. კანდელაკი.

არა ოფიციალური განკოფილება

შინაგ. საქმ. სამინისტროში.

საქართველოდან გადასახლება.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის სექტემბრის დადგენილების თანახმათ რესპუბლიკის საზღვრებიდან გადასახლებულ იქნა 400 უცხო სახელმწიფოს მოქალაქე, რომელნიც აქ ეწეოდენ პარაზიტულ ცხოვრებას და როგორც გამოირკვა საქართველოში ცხოვრების ნებაც არ ქონდათ. ასეთი ზომები განმეორებულ იქნება როგორც კი მგზავსი მდგომარეობა გამოირკვევა.

ქვემოთ მოყვანილია იმ პირთა სია, რომელნიც სპეკულიაციას ეწეოდენ უცხო ვალიუტით და სხვა საქონლით იმ მიზნით, რომ საქართველოში გამოეწვიათ ფინანსიური ეკონომიური კრიზისი. ყველა ეს პირები დაპატიმრებულნი არიან საგანგებო რაზმის მიერ და ტფილისის საგუბერნიო № 1 ციხეში იმყოფებიან.

1. ს. დ. ს. გინცბურგი 2. ა. ფ. ბელიცი, 3. ფ. ს. დ. სერებრიაკოვი, 4 პ. პ. ჟემჩუჟინი, 5. გ. კ. ვეტცელი, 6. დ. მ. მოშიაშვილი, 7. ი. მ. ჯანაშვილი, 8. დ. ი. თაველიაშვილი, 9. ბ. ს. კაპლისკი, 10, ი. მ. როხენბერგი, 11. შ. რ. ფანაშვილი, 12. ა. რ. ტერ-არუთინოვი, 13. ს. ს. ვასკანიანცი, 14. ე. ი. პორტუგალოვი, 15. ე. ა. კუნდურიადისი, 16. დ. ი. ნეიფახი, 17, მ. ი. შრეიდერი, 18. ე. ე. ხონდანოვი, 19. დ. ზ. ხერხეულიძე, 20. ა. ი. გავისტი, 21 ვ. ვ. გურშტეინი, 22. ე. ს. ხადორსკი, 23. ე. ს. ხადორსკი, 24. ი. ს. ხადორსკი, 25. დ. ს. ხადორსკი, 26. დ. ს. ბერკოვიჩი, 27. სახალხო ბანკის აგენტი ა. ზ. სემიკი, 28. ო. ტ. ტერტომასიანი, 29. გ. ბ. მუგდუსი სარკისიანი, 30. გ. მ. არუტჩევი და 31. ს. ი. ნიკოლაევი.

მიწად-მოქმედების სამინისტროში.

კომისიის გაგზავნა შორაპნის მაზრაში.

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გაგზავნა სპეციალური კომისია შორაპნის მაზრაში ტყეების დასათვალიერებლად და ქალაქთა კავშირისათვის გადაცემულ შეშის დამზადების საქმის განსაფართოებლად.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასახადების განყოფილებამ გაგზავნა გრ. პოტკოვი არტაანის ოლქში სახელმწიფო მამულების რაოდენობის და იმის გამოსარკვევად, თუ ვინ სარგებლობდა ამ მამულებით დღემდის.

თიონეთის მაზრაში.

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ თიონეთის მაზრაში გაგზავნა სპეციალური კომისია სახელმწიფო მამულების სამმართველოს სარევიზიოთ.

საქართველოს ფინანსიური ეკონომიური მდგომარეობა.

ფინანსთა სამინისტომ, საქართველოს ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენება შეადგინა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა დამოკიდებულია საერთო მიზეზებზე, რომლებიც მსოფლიო კატასტროფიდან გამომდინარეობს. საქართველო ცნობილია თავისი ბუნებრივი სიმდიდრით. საქართველო წარმოების მხრით ხელსაყრელ პირობებში იმყოფება, რაც გამოიხატება იმაში, რომ თუ აქ წარმოება განვითარდა, იგი უზრუნველყოფილი იქნება თავისი ნედლი და სათბობ მასალითო. მაგრამ, მიუხედავათ ამისა რუსეთის მთავრობას, თავის ბატონობის დროს, საქართველოს წარმოებისათვის საფუძველიც კი არ ჩაუყრია: რუსეთი უფრო ხელსაყრელად სთვლიდა გაეტანა აქედან ნედლი მასალა და შემდეგ გადამუშავებული შემოეტანა იგი უკან. ქართული მატყლი და სხვა ნედლი მასალა გაჰქონდათ მოსკოვში, აქ ამუშავებდნენ, და შემდეგ შემოჰქონდათ საქართველოში. ხორბლის სათესი ადგილების სივრცე თანდათან იზრდებოდა, მაგრამ მეურნეობას პრიმიტიული ხასიათი ჰქონდა.

საქართველოს მეურნეობა რომ რაციონალურ ნიადაგზე ყოფილიყო დაყენებული, მაშინ მას აღარ დასჭირდებოდა რუსეთის ხორბალი. როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ ცხოვრებაში ერთი და იგივე პოლიტიკა ტარდებოდა: სურდათ შეექმნათ ფაქტი საქართველოს რუსეთისაგან დამოკიდებულებისა, მაგრამ რუსეთი დაირღვა. შეიქმნა საქართველო ყოველ მხრივ გარშემორტყმული, რომელსაც ევროპაში არ ქონდა გასავალი. საქართველო თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. მას არ ქონდა არავითარი მრეწველობა და საფუძველი სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისათვის. ხალხს განსაკუთრებული უნარი უნდა გამოეჩინა, რომ შეექმნა სახელმწიფოებრივი წყობილება და ანარქია აეცილებია თავიდან. ახლა აღმშენებლობით მუშაობის შემდეგ იბადება კითხვა: არის, თუ არა საქართველოში ეკონომიური ნიადაგი სახელმწიფოებრივ წყობილების შესაქმნელიდ. საქართველოში ამ ჟამად უმთავრესად სასოფლო მეურნეობა არის გავრცელებული. საქართველოს მეურნეობა ომამდე თანდათან იზრდებოდა. ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში 1908 წ. 388.718 დესეტ. მიწა იყო დათესილი, 1912 წელში კი 592.461 დესეტინა შემდეგ უფრო შემოსავლიანმა და ინტენსიურმა კულტურამ, თანდათან განდევნა პრიმიტიული კულტურა. ეს მოვლენა უფრო ნათლად თამბაქოს კულტურას დაეტყო. მეთამბაქეობა თანდათან სამრეწველო ხასიათს იღებს. საქართველოს ეკონომიური ავლადიდება დიდია. მათი ექსპლოატაცია დიდ კაპიტალს და ტეხნიკურ ცოდნას მოითხოვს. ამ ჟამად რესპუბლიკიკის სიმდიდრეს შეადგენს ნედლი და ნახევრად ნედლი მასალა: მარგანეცი, თამბაქო, ტყე, ღვინო, არის ვალიუტა, რომელიც ჩვენს ქალაღდის ნიშნებს უზრუნველყოფს. მარგანეცის გარდა, რომელიც 5 მილიარდ ფუთს უდრის, საქართველოში დიდძალი ქვანახშირი არის. ტყიბულის ქვანახშირის რაოდენობა 6 მილიარდს უდრის. ამის გარდა ტყვარჩელის ქვა-ნახშირი $13^1/_2$ მილიარდს ფუთს უდრის. ეს ქვანახშირი თავის ღირსებით არ ჩამოუვარდება ევროპის საუკეთესო ხარისხის ქვანახშირს. საქართველო მდიდარია აგრეთვე ტყით, რომლის სივრცე 2 მილიონ დესეტინას უდრის. შემდეგ ფინანსთა სამინისტრო თავის მოხსენებაში ვრცლად ეხება ბიუჯეტის საკითხებს და აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის შემოსავალი ბევრად აღემატება ხარჯთ-აღრიცხვაში ნავარაუდევ შემოსავალსო. მართალია ეს გადასახადი მძიმე ტვირთად აწვებოდა მცხოვრებთ, მაგრამ მისი წესიერად შემოტანა რესპუბლიკის კასებში ამტკიცებს იმას, რომ მცხოვრებნი თავის მოვალეობას შეგნებულად შეხვდნენ, რომ დრო ანარქიისა გავიდა და სამოქალაქო ცხოვრება თავის ნორმალურ კალაპოტში დგება.

ფინანსთა სამინისტრო ახასიათებს რა რესპუბლიკის ბალანსის მდგომარეობას, აღნიშნავს, რომ სავაჭრო ბალანსის პასიურობა იწვევს ქვეყნის დიდ დავალიანებას, რომლის გადახდა მას თავის ნედლი მასალით უხდებოო. მაგრამ სავაჭრო ბალანსის პასიურობა საერთაშორისო მოვლენაა: 1919 წ. 9 თვის განმავლობაში შემოტანილი საქონელი გატანილ 4-ჯერ აღემატებოდა, ინგლისში კი 2-ჯერ, ევროპის სამეურნეო კრიზისი გამოიხატება აგრეთვე საქონლის უქონლობაში, რაც თავის მხრივ იწვევს სპეკულიაციას. რესპუბლიკის სავაჭრო ბალანსი მოეწყობა იმ შემთხვევაში, თუ მოწესრიგდება ნედლი მასალის ექსპორტი. მთავარი მიზეზი, რომელიც აძნელებს საქართველოდან ნედლი მასალის გატანას საკუთარ ტონაჟის უქონლობაა. საქართველო მეტად საჭიროებს დამზადებულ საქონელს. ამან აიძულა მთავრობა განსაკუთრებული ეკონომიური პოლიტიკა ეწარმოებია. ქალაღდის ფულის ნიშნების ემისია 1920—1921 წლის დამდეგამდე უდრის 2.500 მილიონ მან. სულზე მოდის 833 მან. ვალი. სახელმწიფოს სხვა ვალი არ აქვს. დაისვა საკითხი საზღვარ გარეთიდან მოტანილ საქონელში ანგარიშის გასწორებისა. თხოულობდნენ ვალიუტას. ვალიუტას ჩვენი ნედლი მასალა შეადგენდა. ამ ნედლ მასალაზე მთავრობამ მონოპოლია გამოაცხადა. ამ რიგად ნედლი მასალის მონოპოლიამ შეჰქმნა მტკიცე ვალიუტა და ამასთანავე მთავრობამ ექსპორტის განსაზღვრულ გეგმას დაუმორჩილდა. ამის გამო შეიქმნა ისეთი პირობები, რომ მთავრობა იღებდა საზღვარ გარეთიდან დამზადებულ საქონელს. მონოპოლიით კი მთავრობამ შეაჩერა ფასების სპეკულიატიური ზრდა. მონოპოლიის გატარების დროს მთავრობა საჭიროდ სთვლიდა წვრილ მწარმოებელის ინტერესების დაცვასაც. წვრილ მწარმოებლებს მეცხვარეებს და მეთამბაქოებს 1920—21 წლის სეზონისათვის მიეცათ სესხი. განსაზღვრულია კიდევ წვრილ მწარმოებლებისათვის 5 მილიარდ სესხის მიცემა. ასეთი მიზნებით გარიყული იქნება სპეკულიანტი და წვრილი მწარმოებელი ბაზარს შუამავალის გარეშე დაუახლოვდება. მცხოვრებლები დარწმუნდნენ, რომ მონოპოლია სასარგებლოა და მხარსაც უჭერენ მის გატარებას. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია მეცხვარეთა გაერთიანება და მათ მიერ სახელმწიფოებრივ ორგანოებთან უშუამავლო კავშირის დაჭერა, გაერთნიანდნენ აგრეთვე წვრილი მეთამბაქოები და პლანტატორები. მთავრობა მარგანეცის მონოპოლიას ანხორციელებს მწარმოებელთა მონაწილეობით. წმინდა მოგება მარგანეცის ექსპორტიდან, მიმდინარე წელში 1 მილიარდ მანეთს შეადგენს. სავალიუტო საქონელი მთავრობას თვითონ გააქვს. გატანილია 600.000 ფრანკად ღირებული აბრეშუმის პარკი. მიღებულია ზომები ექსპორტის საერთო მოსაწესრიგებლად და უპირველეს საჭიროების საქონლის იმპორტის გასაადვილებლად. ამასთანავე აკრძალულია ფუფუნების საგნების შემოტანა. სურსათ-სანოვაგეს შემოტანის მოსაწესრიგებლად ყოველგვარი სანოვაგე, რომელიც კი შემოტანილი იქნება საბაჟო გადასახადიდან გაანთავისუფლებენ. გარდა ამისა სურსათ-სანოვაგის გატანა რესპუბლიკიდან აკრძალულია. აკრძალულია აგრეთვე იმ საქონლის გატანა, რომელიც რესპუბლიკას თვით ესაჭიროება. საქართველოს არა აქვს თავისი მრეწველობა და რადგანაც სოციალისტური მთავრობა ფიქრობს, რომ სოციალისტურ რევოლიუციის დრო კიდევ არ დამდგარა, ამიტომ იგი არ ავიწროვებს ჩვენში კერძო ინიციატივას. მიღებულია ზომები ეროვნულ და უცხო კაპიტალის გამოსაყენებლად. ევროპა მეტად დაინტერესებულია საქართველოთი: ნედლი მასალის სიმრავლეს, სათბობ მასალას, თეთრი ნახშირის წყაროებს და სხვას არ შეუძლიათ არ შემოიყვანოს საქართვნლოში უცხო კაპიტალი.

პრესა.

„კომუნისტს“ ძალიან სწყენია მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის საქართველოსკენ წამოსვლა. გაბოროტებული ჩვეულებრივად კბილებს აკრაჭუნებს და თან დაგვცინის: თქვენი „კეთილი ნათლიების მოლოდინით“ სიხარულისაგან აღარ იცით რა ჰქნათო. გაზეთს ვიღაც გენერლები გახსენებია, ესა და ეს გენერალი იყო თქვენსა და პატივისცემით და დიდებით გაისტუმრეთო. (?) ქართველ ხალხს თავიდანვე ეჯავრებოდა ნიკოლოზის რეჟიმის გენერლები და პატივს ცემდა არა იმ ჟანდარმერიასთანა ხალხს, როგორიც ეს ბალშევიკები არიან, არამედ იმ ხალხს, რომელნიც საქართველოს მეგობრობდენ და არა მტრობდენ—ბოლშევიკებსავით.

ქართველ ხალხს უხარიან მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის ჩამოსვლა იმიტომ, რომ მასთან მოდიან ნამდვილი მისი მეგობრები, თავისუფლებისთვის მებრძოლი ხალხი. და უეჭველია ქართველი ხალხიც და მისი მთავრობაც ღირსეულად დაუხვდება ღირსეულ და პატივსაცემ სტუმრებს.

გაზეთს ეჭვი შეჰპარვია და არ სჯერა, რომ ჩვენ „გვესტუმრებიან გენერლების მაგიერ სულ სხვა ქვეყნის, სულ სხვა 'მსოფლმხედველობის ხალხი—რენოდელების, ვანდერველდების და თვით კაუცკის სახით“.

„კომუნისტმა“ აღარ იცის თავის არა სასიხარულო ამბავს როგორ მოუაროს და აი რა ყალბ მოსაზრებით აბოლოვებს თავის სიტყვას:

„რომელ მუშურ საფრანგეთის წარმომადგენელია მაგალ. რენოდელი? ან რომელ გერმანულ მუშების დელეგატია კაუცკი, ის კაუცკი, რომლის სახელის ხსენებაზე გერმანული მუშები კისრის ტეხით აგდებენ ტრიბუნიდან ორატორს, რომელმაც გაბედა მისი ხსენება? ცოტა ოდენი გამონაკლისით, თქვენი ახალი სტუმრები იგივე გენერლებია, ხოლო უჯარო და სამუდამოდ სახელ გატეხილი რამდენათმე რევოლიუციონურ მუშების წრეებში, საფრანგეთის ბანკირების მოხალისე ნოქარი, ბელგიის კაროლის უქვეშევრდომილესი მინისტრი, ყოფილი თეორეტიკოსი მარქსიზმის და ახლა ამ მარქსიზმის ფეხით გამთელავი და სხ. ასეთები—აი მენშევიკების სტუმრები“.

ამას ლაპარაკობს „კომუნისტი“ და თავის ასეთ მარგალიტს სიტყვების წარმოთქმაზე არა წითლდება. კაუცსკი და მარქსის თეორიის გამთელავი? მახლას, ასეთი ხალხია ჩვენი კომუნისტები!

აფხაზეთის ავტონომია.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგატებმა წერილობითი განცხადებებით მიმართეს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს, სადაც გამოთქმულია სურვილი, რომ დამფუძნებელ კრების მომავალ სესიაში გარჩეულ იქნას შემდეგი საკითხები: 1) ავტონომიურ აფხაზეთის საქართველოს ნაწილად ცნობის შესახებ. 2) იმ საქმეებში, რომელიც ეკვემდებარება აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოს, ამ ორგანოს მოქმედება იყოს სავსებით დამოუკიდებელი, და 3) ადგილობრივ აღმასრულებელ ძალად ჩაითვალოს ავტონომიურ 1) აფხაზეთის მთავრობა. ეს საკითხი გაირჩა საკონსტიტუციო კომისიაში, რომელმაც დაადგინა: დებულება რესპუბლიკის ნაწილების ავტონომიის შესახებ გამომდინარეობს სახელმწიფოს საზოგადო კონსტიტუციიდან. აფხაზეთის ავტონომიის მიღება, ანუ ნაწილობრივი ცნობა ამა, თუ იმ პრინციპისა, შეუძლებელია სანამ არ არის მიღებული კონსტიტუცია მთლიანად, 2) სახალხო საბჭოს დელეგატების მიერ განცხადებაში დასმულ საკითხების შეტანა დამფუძნებელ კრებაში დაუშვებელია არსებულ პარლამენტარულ წესდების ძალით. 3) ავტონომიის პრინციპი, მიღებული კონსტიტუციის პროექტში, სავსებით უზრუნველყოფილია. 4) დებულება ავტონომიის შესახებ შეტანილი და გარჩეული იქნება დამფუძნებელი კრების მომავალ სესიაში (დ. ს.).

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

„ჩიკაგო ტრიბუნი“ რუსეთის შესახებ.

„ჩიკაგო ტრიბუნ“ ბეჭდავს რუსეთში ამერიკის ელჩად ნამყოფ. გ. ფრენსინის ნაამბობს, სადაც ის ამტკიცებს, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა 6 თვეში უეჭველად დაეცემაო. ფრენსისი ამტკიცებს, რომ რუსი ხალხის მეათედიც კი არ უჭერს ბოლშევიზმს მხარსო, ფრენსისი დიდ დემოკრატიულ რუსეთის შექმნის საჭიროებას აღიარებს. ეს საჭიროა არა მარტო ევროპისა და განსაკუთრებით ცენტრალურ ევროპის წონასწარობისათვის, არამედ თვით დემოკრატიულ იდეების განვითარებისათვისაც. უუმცა ამერიკა არ ფიქრობს რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევას, მაგრამ მას თავის მოვალეობათ მიაჩნია ამერიკის ნოტაში გამოთქმული აზრი ამა, თუ იმ საშუალებით გადასცეს რუს ხალხს.

წყალდიდობა ესპანეთში.

ესპანეთიდან მოსული ცნობით ესპანეთის ზოგიერთ კუნძულზე დიდი წყალდიდობა ყოფილა. დაღუპულა მთელი ქალაქები და სოფლები.

რუსეთის სავაჭრო მისიის მდივანის დაპატიმრება.

აგვისტოს 24. „ფოსიშე-ცაიტუნგის“ ცნობით ინგლისის მთავრობამ დააპატიმრა და დიდი ბრიტანეთის საზღვრებიდან გააძევა საბჭოთა რუსეთის ნუსხაში მყოფ სავაჭრო მისიის მდივანი ნუორტევი. უკანასკნელად იგი ლონდონში კრასინს ეხმარებოდა.

ანტანტა და უკრაინა.

„გერ აბენდი“ იუწყება: ანტანტის წრეებში კვლავ დაისვა საკითხი უკრაინის დამოუკიდებლობის ფაქტიურ ცნობის შესახებ.

ვრანგელის და საბჭოთა ჯარების რაოდენობა.

აქ მიღებული „კრასნაია გაზეტა“ იუწყება: ვრანგელს 70.000 ჯარის კაცი ყავს, მაშინ როდესაც საბჭოთა ჯარები აქ ძლიერ მცირე რიცხვს შეადგენსო.

თანახმად იმავე ცნობისა, პოლონეთის მთავრობამ, გენერალ ბრედოვის ყოფილ ლაშქრის ოფიცრები და ჯარის კაცები, რომლებიც პოლონეთში დააკავეს, ვრანგელის ჯარში გაუგზავნია.

ქართველთა ეროვნული საბჭო ვარშავში.

ეწყობა ქართველთა ეროვნული საბჭო ბურულაშვილის მეთაურობით. საბჭო ამ დღეებში გამოარკვევს ქართველთა საქართველოში გამგზავრებისა და გაჭივრებულთადმი დახმარების საკითხს. „ვარშავსკი კურიერის“ ცნობით ამასთანავე საბჭო ცდილობს მჭიდრო კავშირი გააბას პოლონეთსა და საქართველოს შორის. განზრახულია გამოსცენ გაზეთი პოლონურ და ქართულ ენაზე. იმავე

გაზეთის „ცნობით“ ვარშავაში გახსნილა პოლონელთა ქართველთა კლუბი. განზრახულია ამასთანავე ქართველთა და პოლონელთა ბანკის ვარშავაში დაარსება. პოლონეთის პრესა მხურვალე თანაგრძნობით ხვდება საქართველოს საკითხებს.

„ტანი“ მეორე ინტერნაციონალის შესახებ.

„ტანი“ წერილს უძღვნის მეორე ინტერნაციონალის ჟენევის კონგრესს და მოყავს ვანდერვალდეს სიტყვა მოსკოვისა და ლონდონის შესახებ. მოსკოვი—უთქვას ორატორს ის უმკირესობაა, რომელიც ფიქრობს, ძალდატანების ხასიათის ზომების მიღებით სოციალიზმის დამყარებას საარაკო ჩამორჩენილ მხარეში. ლონდონი წარმოადგენს დარაზმულ პროლეტარიატს, რომელმაც გამოიჩინა შეგნება და რკინის დისციპლინა და რომელსაც სწამს, რომ ამ გზით მიაღწევს, სოციალიზმს. ერთი მხრივ ძალმომრეობის რევოლიუცია და მეორე მხრივ რევოლიუცია მეთოდიური თანდათანობით ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა.

სიკვდილით დასჯა რუსეთში.

„ტანი“ აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, თუ რამდენი კაცი დაუსჯიათ სიკვდილით რუსეთში. მაისის სამიდან ივნისის 26 ცენტრალურ რუსეთში სიკვდილი მიუსაჯიათ 100 კაცისათვის. გაზეთი განმარტავს, რომ ცნობა ეხოლოდ მოსკოვსა და პეტროგრადს ეხებაო.

რუსეთი და გერმანია.

„იზვესტია“ (№ 64) ოფიციალურად იუწყება რუსეთსა და გერმანიას შორის დღეს არავითარი სადაო საკითხი არ არსებობს. ამიტომ დაახლოვება, თუნდაც ეკონომიური, ორივე მხრისათვის სასარგებლო იქნებაო.

რუსეთის სასურსათო ცხოვრება.

მოსკოვში ლებულობენ მკაცრ ზომებს პურის გამოცხობის საქმის გასაუმჯობესებლად. იმ ფურნის მოსამსახურეთ, სადაც ცუდი პური გამოცხვება არ მისცემენ, პრემიას და ულუფას და ბოლოს ფურნეს სრულებით დახურავენ.

(გაზეთებიდან)

ბოლშევიკები პოლონეთში.

გაზეთ „დეილი ნიუსის“ ცნობით იმ ადგილებში, რომელიც პოლონეთს წაართვეს ბოლშევიკებმა და ოკუპაცია გაუკეთეს, ბოლშევიკები ამყარებენ თავიათ საბჭოთა მმართველობის სისტემას. ყველა კომისრები ყოველივე ზომებს ლებულობენ, რომ კომუნისტური წესწყობილებას შეაჩვიონ ადგილობრივი მოსახლეობა. ამ მიზნით მართავენ ყოველ ადგილს მიტინგებს, სადაც ხალხს ძმობა-ერთობას უცხადებენ და ათასგვარ დაპირებებს აღუთქვამენ. გამოქვეყნებულ დეკრეტების შორის არის დეკრეტები, რომლის ძალით მცხოვრებთ ეკრძალებათ მაგარი სასმელების გაყიდვა და სხვა ამისთანა საწინააღმდეგო ნაბიჯებში ყველას სიკვდილის დასჯით ემუქრებიან. ბეჭდავენ აგრეთვე ბევრ პროკლამაციებს, სადაც აუარებელი ცილისწამებაა სხვა და სხვა ევროპის სახელმწიფოების მიმართ. საერთოდ სადაც კი ბალშევიკებს ხელი მიუწვდებათ ძალიან მუშაობენ.

გენ. ვრანგელის ბრძანება.

გენ. ვრანგელმა ყუბანის, თერგის ოლქის და ასტრახანის მცხოვრებთა მიმართ ბრძანება გამოსცა. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ მალე გარდივლის ქარტეხილის წელიწადები და მოვა დრო, როდესაც რუსეთი საშინელ ჯოჯოხეთიდან სრთლიად განთავისუფლდებაო.

საფრანგეთი და ამერიკა რუსეთის შესახებ.

გაზეთი „ტან“-იმ გამოაქვეყნა საფრანგეთის მთავრობის ნოტა, რომელიც ეხება რუსეთ-პოლონეთის საკითხს. ამ ნოტაში აღნიშნულია, რომ შეერთებულ შტატების ნაბიჯის გადადგმა რუსეთ-პოლონეთის საკითხის გარშემო საფრანგეთისთვისაც მისაღებია. როგორც საფრანგეთი ისე ამერიკა—სრულ წინააღმდეგობას გაუწევს რუსეთს თუ მან ეცადა ბალშევიკურ რეჟიმის დამკვიდრებას. ყველა ერს თავისუფლება უნდა ჰქონდეს თავისი სახელმწიფო ისე მოაწყოს, როგორც ეს მას სურს. მაგრამ ამასთანავე საფრანგეთიც და ამერიკაც ყოველ გასაჭირ საქმეში მზად იქნებიან რუსეთს დაეხმარონ.

თურქესტანში.

თურქესტანის მცხოვრებთა განწყობილება არც ისეთია როგორც ამას ბოლშევიკების ინფორმაცია გადმოქცემს. თრქესტანელ-დელეგატებს, რომელნიც ბაქოში იყვნენ ჩამოსულნი აღმოსავლეთ ხალხთა ყრილობის გამო ერთ ერთ „ვოლნი გორეცი“-ს კორესპონდენტისათვის უთქვამს, რომ თურქესტანი ცდილობს თავის განთავისუფლებას ჯერ უპირველესად რუსეთისაგან. თურქესტანს დიდი ხანია სურს ევროპის იმპერიალიზმისაგან თავი დაიხსნიოს. ჩვენ ამ მდგომარეობიდან გამოსვლა მაშინ შეგვეძლება, როდესაც გავნთავისუფლდებით „წითელ ჩრდილოეთის“ პოლიტიკიდან. ვიდრე ბოლშევიკების აღთქმული თავისუფლება დადგება, ჩვენ მანამდის სიმშილით ამოვიხოცებით. ცენტრალური რუსეთი რომელსაც ჩვენგან გააქვს ათასი სხვა და სხვა მასალა, სამაგიეროდ გვკვებავს ბოლშევიკურ ლიტერატურით ტ ცარიელ ლამაზ სიტყვებით. ერთად-ერთ იმას, რასაც საბჭოთა რუსეთი გვასწავლის ეს—თავხედობაა და უწინარეს ყოვლისა ამ თავხედობას პირველადვე ბოლშევიკების წინააღმდეგვე გამოვიყენებთ.

ჩვენ დიდი ხანია გვეძინა წითელ ტერორის ქვეშ. სიმშილს განვიცდიდით, მაგრამ მაინც ვდუმდით. ეხლა ჩვენ ვიღვიძებთ და ავმოქმედდებით კიდეც.

კავკავში

„ზიბის“ საინფორმაციო ბიუროს ცნობით ბოლშევიკები დიდ ბრძოლას აწარმოებენ ეკატერინოდარის აღებისათვის. საბჭოთა მთავრობის ბრძანებით გამოცხადებულია მთელ ჩრდილო კავკასიაში 19 წ.—32 წლიანების მობილიზაცია.

— კავკავში სურსათ-სანოვაგეზე ფასები ყოველ დღე იზრდება: პური გირვანქა ღირს 160 მანეთი; ძროხის ხორცი 175 მან. მცხვრის 250 მან.; შაქარი გირვანქა 3000 მან. თუთუნი 2800 მ.; კოჭის ძაფი 1500 მან., საგალანტერეინო მაღაზიებში ვერაფერს იშოვის კაცი.

— კავკავში ჩამოვიდა მოსკოვიდან სომხეთის საზავო დელეგაცია შანტის მეთაურობით. ახლო მომავალში დელეგაცია ტფილისს ჩამოვა.

— ბოლშევიკები დიდათ მუშაობენ კედლის გაზეთებისათვის. კედლის გაზეთები დიდ სენსაციებს იწვევს ქუჩაში გამვლელ-გამომვლელ ხალხში. კედლის გაზეთებში ბოლშევიკების სასარგებლო ინფორმაცია და კარიკატურაა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა საგენტო).

ფრანგული ცნობები.

მარნის ცერემონიალზე.

მარნის გამარჯვების სახსოვრად გამართულ ცერემონიალზე დასწრების შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მეტცში გაემგზავრა, სადაც ორშაბათს ეროვნულ გამარცვებას დაესწრო. საფრანგეთის საელჩოში ყოფნის დროს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აუწყა მას ის გადაწყვეტილებანი, რომელიც მათ ბრესლავლის ინციდენტის გამო მიიღეს. ეს გადაწყვეტილებანია ბრესლავლის პრეფექტის დათხოვნა. საზოგ. უზრუნველყოფის პოლიციის უფროსის პასუხისგებაში მიცემა. კაპ. ფონ-არჩსნის პროვინციალურ გარნიზონში გადაყვანა და საფრანგეთის საელჩოს შენობის აღდგენა.

ალჟირიაში.

რადგან ალჟირში მოსავალი ნაკლებია, ამიტომ საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა, მეტროპოლიდან ალჟირს ქერი გაუგზავნოს.

ვრანგელის ჯარის გარშემო.

ვრანგელის გენ. შტ. უფროსი გენ. მარკოვი ვარშავაში მოვიდა და „დეილი-ე პერსის“ ცნობით მოლაპარაკებას აწარმოებს რუს გენერლებთან, რომელნიც ადგენენ 150,000 ჯარისკაციან არმიას. ეს ჯარი ერანგელის ჯარს უნდა შეუერთდეს.

რუსეთ-პოლონეთის მოლაპარაკება.

რომიდან მოსული დეპეშის თანახმად, რუსეთ-პოლონეთის მოლაპარაკება სექტ. 9 დაიწყება.

კომერციული ხელშეკრულება.

ავსტრიასა და სამხრეთ სლავიას შორის თათბირი კომერციული ხელშეკრულების დადების შესახებ. (ავსტრია-რუმინეთის ხელშეკრულების დაგვარათ).

ხალხთა ლიგის კომისია.

ხალხთა ლიგის შინა კომისია ოქტ. 15 უნდა შეიკრიბოს. დაესწრებიან ლიგის ევროპიელი წევრები. განიხილავენ საკითხებს: თუ როგორ შეიძლება ევროპაში მგზავრობის შემსუბუქება, განიხილავენ უმთავრესად პასპორტების საქმეს.

გერმანული პრესა.

პოლონეთის შურის ძიება.

პოლონეთის შურის ძიება მათ მიერ დაკავებულ გერმანიის ტერიტორიაზე ყოველივე ზომას აჭარბებს. გრაუდენცში გამოკრულია სია სიკვდილით დასჯილ 39 გერმანელის, რომელთაც სამხედრთ საიდუმლოების გაცემა ბრალდებოდათ: პოლონეთის ციხეებში მრავალი გერმანელი იმყოფება.

ინგლისი, გერმანია და ამერიკა.

ფონ-ხორსტმა განაცხადა: «ფაქტია», რომ ინგლისი, გერმანია და აშერიკა განახორციელებდა ხანგრძლივ ზავს და მთელ ქვეყნიერებაზე სასარგებლო დამოკიდებულებას, რომ მათ დაევიწყებიათ ყოველივე და ეფიქრათ მხოლოდ ეკონომიური პრობლემის გადაწყვეტაზე, რომლის წინაშე ჩვენ ყველა ვდგევართ. ეს ერთად ერთი სწორი გადაწყვეტაა საკითხისა. მე ყოველივე ღონეს ვიხმარ შეერთ. შტატებთან კომერციული დამოკიდეპულების აღსადგენათო.

მოსკოვის ცნობები.

სრულიად რუსეთის სახალხო მეურნეობის პრეზიდიუმის დადგენილება.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში საგანგებო კომისიამ რიკოვის მეთაურობით მოსკოვთან ახლო მდებარე ქვანახშირის მაღაროები ინახულა. კომისიის მიზანი იყო გასცნობოდა ორი წლის მუშაობის შედეგებს. ამ გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობის შემდეგი განვითარებისათვის. მოისმინა რა რიკოვის და ლომოვის მოხსენებანი სრულიად რუსეთის სახალხო მეურნეობის პრეზიდიუმმა, დაადგინა: 1) დაავალოს კომუნისტებს მოიწვიონ ყრილობა მუშების სადგომ ბინების აშენების საკითხის გასარჩევად, მიიღოს ზომები ბეტონისა და მის გვარ მასალიდან მუშების სახლების ასაშენებლად და სხ.

ოპერატიული რადიო ცნობა.

სექტემბრის 7-ის გროდნოს რაიონში, სოკოლკის ჩრდილოეთით ადგილობრივ ხასიათის ბრძოლებია. ბრესტ-ლიტოვსკის რაიონში ჩვენ კამენეც-ლიტოვსკი დავიკავეთ. ვლადიმერ ვოლონის რაიონში გრუბეშოვის ჩრდილოეთით და სამხრეთით მკაცრი ბრძოლები გრძელდება. ჩვენ 200 ტყვე წამოვიყვანეთ. ლვოვის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ყირიმის ფრონტზე ადგილობრივი ხასიათის ბრძოლებია.

პოლონეთის მიმართა ერთა ლიგისადმი.

პოლონეთის მთავრობამ ერთა ლიგის მდივანს ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: პოლონეთის ჯარის უკან დახევის დროს ლიტვის მთავრობა შეუთანხმდა მოსკოვის მთავრობას, რომლის ძალითაც საბჭოთა რუსეთის ჯარს ნება ეძლეოდა, ესარგებლა ლიტვის ტერიტორიით როგორც ჯარის გადაყვანასა ისე, სამხედრო ბაზის მოსაწყობათ. ეს ფაქტი მაჩვენებელია იმისა, რომ ლიტვამ რუსეთ-პოლონეთის ომში დაარღვია ნეიტრალიტეტი. როდესაც პოლონეთი იძულებულ შეიქმნა, თავის ჯარები გამოეყვანა იმ ტერიტორიიდან, რომელიც ეტნოგრაფიულად პოლონეთს ეკუთვნის, ეს ტერიტორია დაიკავა ლიტვის მთავრობამ, რომლის დროსაც პოლონეთის ერთეულ მცხოვრებთა წინააღმდეგ ექსცესები მოხდა. შემდეგ, როდესაც პოლონეთის ჯარმა მტერი უკუ აქცია და ისევ დაიკავა სუვალკი, ამ დროს ლიტვის მთავრობამ პოლონეთის მთავრობას მიმართა ნოტით, სადაც ის არ სცნობდა ძველ საზღვრებს და თხოულობდა პოლონეთის ჯარის გრაევო-ავგუსტოვის ხაზზე გაყვანას. პოლონეთის მთავრობამ მეგობრული ნოტით უპასუხა და მოითხოვა, რომ ლიტვის ჯარისათვის ეჩვენებიათ საზღვარი, ხოლო სადაო საკითხების გადასაწყვეტად კი გამართულიყო მოლაპარაკება. პოლონეთის ჯარი ცდილობდა სისხლის ღვრის თავიდან აცილებასაც. (გამოტოვებულია) (პოლონეთის მთავრობას უნდოდა ყოველი უთანხმოება მშვიდობიანი გზით გადაეჭრა, მაგრამ სექტემბრის ორს სენში მდგომ პოლონეთის ცხენოსან ჯარს შემოუტია ლიტვის მთავრობამ და ცხენოსანი ჯარი იძულებული გახდა დაეცალა ეს ადგილი. მოჰკლეს 4 კაცი.

იტალიის ცნობა.

ლონდონი ენკ. 7 რეიტერის სააგენტოს ვარშავიდან აუწყებენ: დანციგში მოვიდა ამერიკის კრეისერი 22 ზარბაზნითა და 900 შეიარაღებული ჯარის კაცებით.

კონსტანტინოპოლი. „უნიონის“ სააგენტო სევასტოპოლიდან იუწყება აზოვისა და ყუბანის ფრონტზე ვრანგელის ჯარის მდგომარეობა არ შეცვლილა. ტამანის ნახევარ კუნძულზე ალექსანდროვსკის მიმართულებით ბრძოლა ვითარდება. ვრანგელის ჯარი შეტევას აწარმოებს ამ მიმართულებით და ტყვეები მოყავს.

ერობა

ტფილისის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა.

ტფილისის სამაზრო ერობას ხმოსანთა მერვე ყრილობის მეორე სხდომამ მოისმინა ეავალიშვილის მოხსენება მაზრის მიწებზე გადასახადის გაწესების საკითხის შესახებ. მოხსენების განხილვის შემდეგ გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: მიმდინარე წელს ტფილისის მაზრაში მიწაზე 36 მილ. მან. უნდა გაწესდეს, საქონელზე კი 3 მილ. მან. სულ 39 მილ. მან. ამ გადასახადს კი სოფლებს შორის ერობათა გამგეობები გააწესრიგებს, მცხოვრებთა შორის კი საგანგებო სასოფლო კომისია თემის ხელმძღვანელობით. გადამხდელთა სია პირველ ოქტომბრიდან უნდა გამოქვეყნდეს უკმაყოფილოთ საშუალება ეძლევათ თავისი საჩივარი ერობის გამგეობას ოქტომბრის 15-მდე წარუდგინონ.

გადასახადის შეკრება ოქტომბრის 30-მდე უნდა დასრულდეს ერობების გამგეობებს უფლება ეძლევათ საჭიროების დროს შეცვალონ ვადა და აგრეთვე დაზარალებული მაზრები გადასახადისაგან სრულიად გაანთავისუფლონ

ეუშათა ცხოვრება

სურსათის მიწოდება ჭიათურის მუშებისადმი.

შრომის კომისარმა ჭიათურის მუშათა მაგიდის მოქმედების შესახებ მოხსენება შეადგინა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ჭიათურის მუშათა მაგიდამ სურსათის მიმღებნი ორ კატეგორიათ დაჰყო. პირველნი, რომელიც გონებრივ მუშაობას აწარმოებენ და მეორენი ფიზიკურად მომუშავენი. პირველნი იღებენ ერთ გირვანქა პურს დღეში და ერთ გირვანქა შაქარს თვეში. ასეთივე რაციონს იღებენ მეოჯახე მუშები. მარტოხელნი იღებენ სამ გირვანქა პურს დღეში და სამ გირვანქა შაქარს თვეში. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მაღაროებში მუდმივად მომუშავე პირების მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლებოდა, რომ მუშათა მაგიდა მეტი ყურადღებით მოპყრობოდა მათზე იაფ-ფასიან სურსათის მიწოდებას. ეს მით უფრო საჭიროა, რომ სახელმწიფოს სურსათით მომარაგების ფონდი თავის მიზნად უმთავრესად ისეთ პირების უზრუნველყოფას ისახავს, რომლებიც ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას ხელს უწყობენ. სურსათი, რომ სასურველად იქმნას განაწილებული საჭიროა გარკვევა ორი კატეგორიის მუშებისა, რომლებიც მრეწველობასთან მჭიდროთ არიან დაკავშირებული და რომლების მუშაობასაც დროებითი ხასიათი აქვს. უნდა ხელი შეუწყოთ მუშების სამრეწველო ცხოვრებასთან დაკავშირებას. განსაკუთრებული ყურადღება იმათ უნდა მიექცეს, ვინც მუდმივ მუშაობს მაღაროებში და მათი ცხოვრებაც შედარებით დროებით მუშებთან მეტად უნდა გაუმჯობესდეს, 1) მუდმივი მუშებისათვის უკეთესი პირობები უნდა შეიქმნეს; 2) მუშაოა მაგიდა შემთხვევით მუშებზე მზრუნველობისაგან უნდა განთავისუფლდეს; 3) ხარჯის ნაწილი მრეწველებს უნდა გაეწეროს. შრომის კომისრის აზრით იმ მუშებს, რომელნიც ფიზიკურ მუშაობას ეწევა, უნდა მიეცეს დღეში 2 გირვანქა პური. რაც შეეხება შაქარს, აქ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დადგენილება სწორი არ არის, ვინაიდან გონებით მომუშავეებს უფრო სჭირდება შაქარი, ვიდრე ფიზიკურად მომუშავეებს. ვინაიდან შაქრის რაციონის გადიდების საშუალება არ არის

ჭიათურის მუშებს შაქარი საერთო ნორმის მიხედვით უნდა მიეცეს ე. ი. სულზე ერთი გირვანქა.

შ ე შ ვ.

მუშათა მაგიდამ მიმართა ტყის ინსპექტორს თხოვნით, რომ დასავლეთ საქართველოში რკინის გზის რაიონებში მიეცეს მას ნება მუშების და რკინის გზის მოსამსახურეების საჭიროებისათვის შეშის დამზადებისა. ამასთანავე მუშათა მაგიდა აღნიშნავს, რომ მას დასჭირდება სულ 20.000 კუბიკური საქენი შეშა.

ქუთაისის მუშები.

ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს აუწყა მუშათა მაგიდამ, რომ მის მიერ მიღებულია ღონისძიებანი მუშებისათვის დასარიგებელ ქერის პურის ღირსების გასაუმჯობესებლათ. ამავე დროს მუშათა მაგიდამ მიმართა მომარაგების სამინისტროს, რომ მან ქუთაისში მუშათა მაგიდის სახელზე გაგზავნოს ხორბალი პურის ღირსების გასაუმჯობესებლად.

სურსათი სოხუმს.

მუშათა მაგიდამ მთავრობის საქმეთა მართველს მის შეკითხვის საპასუხოდ აუწყა, რომ სოხუმში მოწყობილია მუშათა მაგიდა, რომელიც აკმაყოფილებს მუშებისა და მოსამსახურეების მოთხოვნილებას სურსათის მხრივო.

კარტოფილის დამზადება.

მუშათა მაგიდამ აუწყა რკინის გზის სასურსათო განყოფილებას, რომ ის თანახმაა დაამზადოს 100.000 ფუთი კარტოფილი.

ბათომის მუშები.

მუშათა მაგიდამ აუწყა მომარაგების სამინისტროს, რომ ბათომის მუშათა მაგიდამ ყოველდღე უნდა მისცეს სურსათი 10.000 სულ მუშასა და მოსამსახურეს. ამის დასაკმაყოფილებლად კი საჭიროა ყოველ დღიურად ორასი ფუთი ხორბალი. ერთ თვეში ეს რიცხვი გაიზრდება 12.000-მდე. ასე რომ დღეში საჭირო იქნება 250 ფ. პური.

მუშათა თეატრი.

ქალაქის გამგეობის კულტურულ განმანათლებელმა განყოფილებამ, ავჭალაში მუშათა თეატრი გახსნა.

ფოთის გადამტვირთველები.

სატარიფო პალატამ დაადგინა ახალი ტარიფი ფოთის მტვირთველ მუშებისათვის, ამის გამო დეპეშით ეცნობა ფოთში საზოგადოება „ჩემო"-ს, რომ ამიერიდან მუშებს ანგარიში გაუსწორონ ამ ახალ ტარიფის მიხედვით.

ს ა ნ ც ხ ა ლ დ ე ბ ა ნ ი

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო, თანახმად გრიგოლ კაჭკაჭოვის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს უვადო ბაშფორთი და სხვა საბუთებიც, სთხოვს მნახველებს აღნიშნული საბუთები წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 1613 3—3

დაიკარგა საკრედიტო მოწმობა მიღებული ლიანდაგის უფროსისაგან, შტატ გარეშე დატოვების დახმარების მისაღებათ № 122. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2606 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ვასილი აბრამის ძე მაყაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2600 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა პირადი სურათით, მიღებული რუსების ნაციონალურ საბჭოდან და მეტრიკული ამონაწერი არტაშეს ხაჩატურის ძე ტერ-მანველოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2601 3—2

დაიკარგა პასპორტი № 2040 ბენიამინე დავითის ძე ტერ-გასპარიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან 1913 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2602 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი შუშინის ქუჩაზე № 19 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ბაბისოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2603 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 461 მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1920 წ. ადოლფ ფელდმაიერის სახელზე. გაუქმებულმდ ჩაითვალოს. 2604 3—2

დაკარგულია ივანოვის საგირაო კასის ბილეთი № 671 1920 წ. ღირებული 800 მან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2609 3—2

დაიკარგა პასპორტი № 420 სიმონ იაკოფის ძე ეფრემოვის სახელზე, მიღებული უკრაინის სახალხო რესპუბლიკის გენერალურ საკონსულოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2638 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 406 ივანე იაგორის ძე იარალოვის სახელზე, მიღებული სიღნაღის ქალაქის თვითმართველობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2632 3—2

დაიკარგა იარაღის მოწმობა № 130,984, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან, მოწმობები, მიღებული ტფ. სამაზრო ერობიდან და მოწმობა ტფ. ტეხნიკუმიდან— მიხეილ სიმონის ძე ქომურჯიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2642 3—2

დაიკარგა მილიციონერობის მოწმობა სურათით სურქიას რუსტანის ძე სტეპანიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2637 3—2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი დავით იოსების ძე მაჭავარიანის სახელზე, შედგენილი გორის ნოტარიუსის მიერ 1920 წ. ივლისის 30-ს რეესტრით № 272. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2636 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან № 344 და სარეგისტრაციო ბარათი მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ანუშავან ავეტიკას ძე თარხანიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2625 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 1565-1520 ავეტის მარკარის ძე გლიჩევის სახელზე, მიღებული ნუხის პოლიციის სამმართველოდან 1910 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2621 3—2

დაიკარგა სამსახურის ნუსხა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და პასპორტი, ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან კოსტა ნიკიტის ძე კურეგოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2623 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 517 ეფრემ კაიშაურის სახელზე, მიღებული სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სათადარიგო ცხენოსანთა განყოფილებიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2624 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 482 ალექსანდრე კოტეს ძე ძე მურმანიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2628 3—2

დაიკარგა ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის დამთავრების ატესტატი და მეტრიკული მოწმობა, მიღებული სინოდალური კანტორიდან ბარბალე ანტონის ასული წულუკიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2630 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი იუსუპ კასიმოვის სახელზე, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებად ჩაითვალოს. 2605 3—3

დაიკარგა დამფუძნებელი კრების წევრობის მოწმობა, კახეთის რკ. გზაზე მგზავრობის 1 კლ. ბილეთი და ს.-დ. პარტიის გურიის სამაზრო კომიტეტიდან მიღებული საწევრო ბარათი და სხვა საჭირო საბუთები გიორგი მურვანიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2608 3—3

დაიკარგა შოფერობის მოწმობა № 20 დავით პოპოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის თვითმართველობის საინჟინერო განყოფილებიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2627 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული წელასკურის თემიდან, ს.-დემოკრატიული პარტიის ბარათი, პურის რაციონი და ტრამვაის კოოპერატივის წიგნაკი გაბო ჩაჩანიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2616 3—3

დაიკარგა ატესტატი № 180. თამარ გაბუნიას სახელზედ, ქუთაის წმინდა ნინოს სასწავლებლის კურსის დამთავრების შესახებ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2617 3—3

დაიკარგა მოწმობა № 871 რევოლვერის ტარების და პირადობის, მიღებული სამეგრელოს სახალხო გვარდიის საოლქო შტაბიდან ერმილე ლევანის ძე მატახერიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2644 3—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო, თანახმად ანტონ გრიგოლის ძე ბათმანაშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს სხვა და სხვა კვიტანციები და უვადო პასპორტი, მიცემული ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველოდან 13 ივლისს 1920 წ. № 628, სთხოვს მნახველებს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოშიდ ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ 2485 3—2

„ცხუმ-აბხაზეთის საეპარქიო საბჭო იწვევს თავის კამერაში ავტროპია. იგივე ეფროსინე, კოტტა ჯოჯუას ასულის კარტაზიასას მოისმინოს მისი და მისი ქმირის პლატონ მაქსიმეს ძის კარტოზიას ქორწინების გაყრის შესახებ დადგენილება დღიდან ამა განცხადების დაბეჭდვის ორი თვის განმავლობაში, ხოლო თუ იგი, ეფროსინე კარტოზია, უკმაყოფილო იქნა საბჭოს დადგენილებით, მას შეუძლია შემოიტანოს სათანადო პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოს დადგენილება შევა ძალაში. 2484 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ნიკოლოზ იოსების ძე ტუმაევის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსისგან 1913 წ. რეესტრით № 2560. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2646 3—1

დაიკარგა კვიტანცია № 6393553, მიღებული რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების მოსკოვის განყოფილებიდან ანტონ ილარიონის ძე ხეცურიანის სახელზე, რომლითაც გამოგზავნილი იყო ქუთაისში 4 ცალი ეტლის ბორბლები. გაუქმებულად ჩაითვალოს, 2640 3—1

აკრძალულობა, დადებული 1902 წ. იოსებ სამუილის ძე რუკსის კუთვნილ მამულზე, შეტანილის აკრძალულ მუხლების ნარკვევში (сборникъ) 1 ტფილისში 1902 წ. თანახმად ტეხნიკური სექციის განკარგულებისა ამა სექტემბრიდან გაუქმებულია. 2641 3—1

ქ. სოხუმის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ლაზარე იგივე ერასტო დავითის ძე ჩხიკვაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ჩხიკვაძის ქონებაზე, თანახმათ 1241 მუხ. ძალისა 1 ნაწ. მე 10 ტომისა. 2643 1—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ალექსი იაკობის ძე ბურავლიოვმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი მარიამ ნიკოლოზის ასული. რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1903 წ. უკვალოდ დაიკარგა 1914 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას, ყველა ვინც იცის დაკარგულ მარიამ ბურავლიოვას მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 2647 1—1

„ცხუმ-აბხაზეთის საეპარქიო საბჭოში ბენიამენა ალექსის ძე ოსტროვიდოვმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ელისაბედ მიხეილის ასული უკვალოდ დაიკარგა 1914 წლიდან, რის გამო ბენიამენ ოსტროვიდოვი თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა ვინც იცის დაკარგული ელისაბედ მიხეილის ასულის ოსტროვიდოვას მისამართი, ვალდებულია განუცხადონ საეპარქიო საბჭოს ზემოხსენებული პირის შესახეა დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში. 2483 3—1

გალის უბნის მომრიგებელი მოსამართლე თანახმად სამოქ. სამ. წეს. 4401 მუხლისა იწვევს სოფ. ტოგილონში, სამურზაყანოს მაზრა, გარდაცვალებულ ქეთევან ბაგირის ასული გვარამიას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება გარდაცვალებულის დანაშთ ქონებაზე ექვსი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადებისა. 863 1—1

ოჩემჩირის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებული ქ. ოჩემჩირის მცხოვრების ხაჯი ოსმან აჩარალ-ოღლის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება გარდაცვალებულის დანაშთ ქონებაზე სამ. კრებ. X ტ. 1241 მუხ. ძალით. 862 1—1

ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს რეგისტრატიულ განყოფილების 25 ივნისის დადგენილებით, შეტანილია ნუსხათა წიგნში წესდება „ოზურგეთის სამაზრო ერობის მოსამსახურეთა კავშირი". 732 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს რა, რომ ქ. ტფილისის უმცროსი ნატარიუსი ბოლესლავ ვაცლავის ძე ლუკიმსკი დათხოვნილია სამსახურიდან, ვინაიდან იგი არ არის საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომი და არ იცის სახელმწიფო ქართული ენა, თანახმად ნ-ტ. დებ. მე-13 მუხ. მიიწვევს იმ პირთ, რომელთაც აქვთ რაიმე მოთხოვნა მის თანამდებობის საწინდარზე, რათა მათ ექვსი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა შემოიტანონ იგი. 864 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს რა, რომ ქ. ტფილისის უმცროსი ნოტარიუსი ალექსი ივანეს ძე კარაკაში დათხოვნილია სამსახურიდან, ვინაიდან იგი არ არის საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომი და არ იცის სახელმწიფო ქართული ენა, თანახმად ნოტ. დებ. ნე-13 მუხ. მიიწვევს იმ პირთ, რომელთაც აქვთ რაიმე მოთხოვნა მის თანამდებობის საწინდარზე, რათა მათ ექვსი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა შემოიტანონ იგი. 864 1—1

ქ. ბათომის უმცროსი ნოტარიუსი კ. კ. პრუსკი, თანახმად ტფილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარის დადგენილებისა ამა წლის 14 აგვისტოდან, დათხოვნილია სამსახურიდან 14 იმავე აგვისტოდან, როგორც არა ქვეშევრომი საქართველოს რესპუბლიკისა და არ მცოდნე სახელმწიფო—ქართულ ენისა. ამისათვის მის სამსახურიდან დათხოვნის გამო, სასამართლო, თანახმად ნოტ. ნაწ. დებ. მე-13 მუხ. ამით აცხადებს, რომ იმ პირთ, ვის წინაშეც პრუსკი მის მიერ წარმოდგენილ სანოტარიუსო საწინდრიდან ფულით ვალდებულია უნდა შემოიტანონ ოლქის სასამართლოს სახელზე განცხადება ექვსი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა. 867 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლო ამით აცხადებს, რომ თანახმად ტფილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარის დადგენილებისა ამა წლის 14 აგვისტოდან ქ. ბათომის ნოტარიუსი კ. კ. პრუსკი, როგორც არა ქვეშევრდომი საქართველოს რესპუბლიკისა და არ მცოდნე სახელმწიფო—ქართული ენისა დათხოვნილია სამსახურიდან 14 იმავე აგვისტოდან. ამის გამო ოლქის სასამართლო იწოდებს იმათ, ვისაც სურვილი აქვს ქ. ბათომში დაიკავოს უმცროსი ნოტარიუსის ადგილი და დამაკმაყოფილებული ნოტ. ნაწ. დებ. მე 5 და 15 მუხ. მოთხოვნილებათა, შემოიტანონ განცხადება ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე; გამოცდა დანიშნულია ამა წლის 30 სექტემბერს დილის 11 საათზედ. 867 1—1

მასწავლებელთა ამხანაგობის სრულუფლებიანი

ტფილისის I რეალური სასწავლებელი მოზრდილთავის დაარსებული

პ. ს. პამპალოვის მიერ

(მიიღებიან როგორც ვაჟები ისე ქალები). თხოვნებს მოსამზადებელ IV, V, VI და VII-ე კლასებში შესასვლელად იღებს ა. თ. ლეტცი თავის ბინაზე: ალექსის ქუჩა, სახლი № 7 (მეორე ქუჩა მიხაილოვის ქუჩის გასწვრივ ვორონცოვის ძეგლთან დაწყებული). 1—2 საათამდე დღისით და 5—7 საათამდე საღამოს ყოველ დღე. 2649 1—1

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი